# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი 27/01/2015

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 43

**მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1**. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გარეშე ნებისმიერ დაინტერესებულ ფიზიკურ/იურიდიულ პირზე ერთჯერადად გასაცემი საჯარო ინფორმაციის შემდეგი მინიმალური ოდენობა:

**ა**) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი - 20 (ოცი) ფურცლამდე;

**ბ**) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ასლი - 20 (ოცი) ფურცლამდე.

**2**. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ წლის განმავლობაში ერთჯერადად მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ოდენობა აღემატება ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ოდენობას, მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი გასცემს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენის შემდეგ (ასეთ დროს მოსაკრებელი გადაიხდება სრულ ოდენობაზე).

**3**. გარდა ამ ბრძანებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ასლი გაიცემა დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესაბამის ანგარიშზე

გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენის შემდეგ.

**4**. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**5**. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი